№ 17. 24 იანვარი, კვირა. 1866 1882 24 იანვარი, კვირა. № 17.

რედაქცია

გალავინის პროსპექტზე. თ. მუხრანსკის სახლებ-ში, კლუბის ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (ვერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივი ასოებით სტრიქონზე შაური.

თუ ხანგრძლივად მოითხოვენ, [illegible] და შესწორებულს დაუსაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

ამა 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება"

გამოდის იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების" რედაქციის კანტორაში, გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი Въ Тифлисъ, Въ редакцію газ „Дроэба".

„დროებაზე" და „ივერიაზე", ორივეზე ერთად, ხელის-მოწერა არ მიიღება.

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლით: | 9 მან. | სამის თვით | 3 „ |
| ნახევარის წლით | 5 „ | ერთის თვით | 1 „ |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვთხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

---

„ივერიის" რედაქცია ბოდიშს სთხოვს თავის მკითხველებთან, რომ, რედაქციაზედ დამოუკიდებელის მიზეზის გამო, ამ წლის პირველმა წიგნმა დაიგვიანა. მაინც-და-მაინც ეს წიგნი უეჭველად იანვარში გამოვა.

## ტელეგრამმა

(„საქართველოს ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 22 იანვარს. გაზეთებში ჯერ-ჯერობით შემდეგი ცნობებია დაბეჭდილი კავკასიის გამგეობის რეფორმის შესახებ: გაუქმდება: კავკასიის ნამესტნიკის რჩევა (სოვეტ), სამოქალაქო უწყების საქმეთა გამგეობა, თანამდებობა ნამესტნიკის თანაშემწისა და მთავარ-გამგეობის უფროსისა; გაუქმდება აგრეთვე კანცელარია და დეპარტამენტი მთავარ გამგეობისა. თ. დონდუკოვ-კორსაკოვს ექმნება მხოლოდ ისეთივე კანცელარია, როგორც ღენერალ-ღუბერნატორებსა აქვთ. სწავლა-განათლების საქმე რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს დაემორჩილება, ცენზურის კამიტეტი კი ბეჭდვის საქმეთა მთავარ გამგეობას.

პარიჟი, 21 იანვარს. „უნიონ ჟენერალის" ბანკის გამგე ბონტუ დაატუსაღეს.

პეტერბურღი, 22 იანვარს. სპარსეთთან შეკრულის პირობის ძალით, ახალთეკეს მაზრა სერახსამდინ რუსეთს შეუერთდება. სპარსეთს დარჩება სერახსი და აგრეთვე, ხუთის წლის განმავლობაში ახალთეკის ოლქი იმ პირობით, რომ ამ ოლქის მცხოვრებთ გადასახადი არ დაადვას.

სახალხო განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ ყველა სოფლის სასოგადოებაში მოძრავი სკოლები გამართოს.

---

## ტყის გატანა კავკასიიდამ

თფილისი, 23 იანვარს.

გეოგრაფიული მდებარეობა ჩვენის მხრისა ისეთია, რომ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოებიდამ ადვილად მოგვწვდება ხელი. ერთის მხრით შავი ზღვა, მეორეს მხრით კასპიისა; შემდეგ რკინის გზები ყველას უადვილებენ კავკასიაში მისვლა-მოსვლას და აქ სავაჭრო თუ სხვა საქმეების დაჭერას.

ამას მიუმატეთ ისიცა, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნების სიმდიდრე, მიწაში და მიწას ზევით, ჯერ კიდევ თითქმის სრულიად ხელ-უხლებელია,—და ადვილად მიხვდებით—თუ რისგან არის, რომ ამ უკანასკნელ დროს ასე ეტანებიან კავკასიას უცხო ქვეყნები, თუ რატომ ცდილობენ, რომ აქ დაიწყონ „საქმიანობა", ჩაიგდონ ხელში ჩვენი მიწები, სხვა-და-სხვა მადნეული, [illegible] კი აღმოჩნდა და რომლის აღმოჩენასაც შემდეგში მოელიან, ტყეები და სხვ. და სხვ.

ეს უკანასკნელი გარემოება მით უფრო უწყობს ხელს კიდევ უცხოელებსა, რომ ისინი ხედვენ,—ჩვენ, ადგილის მცხოვრებნი ხელს არ ვანძრევთ, თითქო ფიქრადაც არ მოგვდის, თვითონ ჩვენ ვისარგებლოთ იმ სიმდიდრით, რომელიც ასე უხვად მოუნიჭებია ჩვენთვის ბუნებას.

ამ აზრით ხელმძღვანელობდნენ, უეჭველია, ის ოდესის კაპიტალისტები, რომელზედაც ამ დღეებში იყო ჩვენს გაზეთში ნათქვამი და რომელთაც განუზრახავთ იჯარით ანუ ყიდვით შეძენა კავკასიის ტყეებისა, აჭრა ამ ტყეებისა და საზღვარ-გარედ თუ რუსეთში გატანა გასასაღებლად.

თუ ცოტაც არის ფული ჩამოიტანა ამ ოდესის კამპანიამ, თუ ცოტაც არის თავიანად წაიყვანა საქმე, უეჭველია, ადვილად შეასრულებს ამ განზრახვას. ადვილად შეასრულებს იმიტომ, რომ იშვიათად ნახავთ ჩვენში ისეთს მემამულეს, რომელსაც ტყე ჰქონდეს და რიგიანად ახერხებდეს ამ ტყით სარგებლობას; რომელიც, ფული თუ აჩვენე, არ შესცდეს და იმ წამსვე არ გაჰყიდოს ეს თავის საკუთრება.

მოვლენ უცხოელები. რამდენიმე წლის განმავლობაში ასჭრიან ჩვენ ტყეებს. ნუ სწუხხართ, „რაციონალურად" ტყის მოვლისათვის ისინი თავს არ იტკივებენ: სადაც მოხვდებათ, ასჭრიან და რაც უფრო მალე მოახერხებენ, გაანადგურებენ, არ დაზოგვენ. ფუთის დახარჯვენ ამ ფულს მალე უნდა ამო[illegible] [illegible] გაიტანენ საზღვარ გარედ ამ ჩვენ ტყეს და, თუ მეტს არა, მანეთზე მანეთს მაინც მოიგებენ.

ჩვენ? ჩვენ-კი, ტყების ნაცვლად, დაგვრჩება ხრიაკები, უნაყოფო კლდეღრეები, დავაღოთ პირი და ხელგულ-დაკრეფილი შევაჩერდეთ! ეს იქნება ჩვენი მომავალი. უნდა მოგახსენოთ, სანატრელი და სანუგეშო მომავალიც არ იქნება ჩვენის შთა-

---

«დროების» ფელტონი, 24 იანვარი.

### მამის-მკვლელი

(მოთხრობა*)

ნუნუ კიდევ რამდენიმე ხანი ხმა გაკმენდილი ელოდა და ყურს უგდებდა მახიას. ბოლოს, გულის ძგერით, წყნარა წამოდგა მოვიდა კარებთან და გაიღო. რა წამს გარეთ გამოვიდა იმას დახვდა იაგო, რომელიც მოუთმენლად იქ ელოდა.

ნუნუს დანახვასთან ერთად იმან გაშალა მთრთოლარე ხელები და ჩაიკრა გულში მოხევის ქალი. ნუნუ, რომელიც ემზადებოდა სალაპარაკოდ, რომელსაც ეგონა, რომ ლაპარაკისათვის მთელი საუკუნოები არ ეყოფა ეხლა იდგა ჩუმად, თავდახრილი, გაწითლებული და სიტყვა ველარ მოეხერხებინა, იაგო დასცქეროდა თავის სანატრელს, ხედამდა რომ იმათ ერთმანერთი უყვარსთ, ხედამდა რომ ნუნუ ყველაფერს კისრულობდა იმისთვის და ისაც ემლეოდა წარმოუთქმელს სიხარულს.

ისე ტკბილი, ტკბილი იყო იაგოსთვის ეს წამები, რომ მღელვარება ვერ შეეყენებინა და თითონ გაფთხილებაც-კი გადავიწყებოდა.

იაგოს თავი წყნარად მოიხარა და მიუახლოვდა ნუნუს პირს, რომელის მხურვალებასაც ის აშკარად ჰგრძნობდა თავის სახეზედ; ეს ათრობდა, ჰბანგამდა, ხიბლავდა იმას... კიდევ ოდნათი თავის მოხრა და ნუნუს თმები, რომელიც ქარს გაეშალა დაარხევდა, მოხვდა იმის სახეს და მთლად ჟრიალმა აიტანა.

იმან ველარ გასძლო და გიჟსავით დაეკონა გამშრალის ტუჩებით ნუნუს სახეს, გაშმაგებით და თავდავიწყებით დაუწყო კოცნა.

ბოლოს მოხვია ძრიელი მკლავები, აიყვანა, როგორც პატარა ბაშვი, და რამდენიმე გადახტომის შემდეგ გადაიყვანა საჩალეში.

ის ჰკოცნიდა და ჩასჩურჩულებდა: „მარტო შენა ხარ მთელი ჩემი სიხარული!.. სცადონ შენი თავი წამართვან, თუნდა მთელი ქვეყანა ამიტყდეს და ვნახოთ, ვნახოთ, როგორ მიახერხებენ"!

როდესაც ცოტა დამშვიდნენ და იმათმა აღელვებულმა აზრებმა წესიერი მდინარეება მიიღო, როდესაც შეიძლეს უფრო დამშვიდებულად დაკვირვება თავიანთ მდგომარეობაზედ, აშკარად დაინახეს თავიანთი უპატრონობა და სამწუხარო მდგომარეობა.

იაგო მარჯვე, ყოჩაღი, გულადი და მოაზრებული ბიჭი იყო, მაგრამ ის იყო უმამულო, ყმა, საკუთრება მებატონისა, რომელსაც შეეძლო დღესვე გაეყიდა, გადაეგდო, ეჩუქებინა ვისთვისმე და მაშასადამე იმ დამოკიდებულებაში, რომელსაც თავის ბედნიერებისთვის სხვის ნება დართვა უნდა ეთხოვა; და თუ ეს სხვა რომელისმე ანგარიშის გამო არ მოიწადინებდა იმის იმგვარ ბედნიერებას, იაგო სამუდმოდ უნდა გამოსთხოვოდა თავის სატრფოზედ ფიქრს.

— რაიღა ვქნათ, რაიღა მოვახერხოთ? ჰკითხა დაღონებულმა იაგომ.— შენ ცხოზედ დაგნიშნეს, სამუდამოდ სისხლი ჩამოგვიგდეს!

— რაი უყოთ, რომ დამნიშნეს?.. მე არც ვიზედ არ გავთხოვდები შენს გარდა! მე ცხო არვინ მინდა.

— მაგრამ მეც არ ვის დაგანებებ, მაგრამ რაისათვი მოიქცა შენი ბიძა აგრე? არ ეყოფა იმ ულმერთოს, მამაშენის წილობა, შენც რომ არ გაგყიდოს?

ამ სიტყვებზედ ნუნუს ცრემლები

*) იხ. „დროება" № 10.

მომავლებისათვის. ჩვენ ახლანდელები, როგორც იქნება, თუ ამ ტყვებიდამ და თუ სხვა, ჯერ კიდევ დაუშრობელის, წყაროებიდამ ვიცხოვრებთ, გავატარებთ ჩვენს წუთი-სოფელს, მაგრამ რა პასუხს გავცემთ ჩვენს შვილებს, ჩვენს შთამომავლობას, რომელსაც ამ გახრიაკებულ და აოხრებულ ქვეყანას დაუტოვებთ? უდარდელი ქართველი იტყვის:—მავისთვისაც მე ვიდარდო? მომავლისთვის, მაშინ ვინც იქნება, იმან იდარდოსო!“ ამას მარტო ქართველი მემამულე იტყვის, სხვა არავინ.

---

ამ დღეებში გაზეთის „კავკაზიდამ“ გადმოვბეჭდეთ ერთი ამბავი ბათუმის საქალაქო სკოლის შესახებ, რომ ამ სკოლაში ქართველ ყმაწვილებს სამშობლო ენას არ ასწავლიანო. ამ შენიშნვის თაობაზე „კავკაზის“ გუშინდელს ნომერში დაბეჭდილია სწავლა-განათლების გამგე მთავრობისაგან მიღებული შემდეგი პასუხი:

„როდესაც გავლილ 1881 წლის სექტემბერში ბათუმის საქალაქო სკოლა გაიხსნა, ამ ქალაქში სულ 65 შაგირდი იყო. ამათში: რუსი—25, თათარი—18, ქართველი—4, სომეხი—3, ბერძენი—6, ურია—7 და ნემეცი—2.

„რაიცა შეეხება ადგილობრივ ენას, რომელიც უნდა ესწავლებინათ ამ სასწავლებელში, ქალაქის წარმომადგენლებმა განაცხადეს სურვილი, რომ თათრული ენა ასწავლეთ ჩვენს შვილებსა და ამის გამო ამ ენის სწავლება კიდეც შემოღებულია დადგენილის წესით“.

ორი საყურადღებო რამ არის ამ წერილში სწავლა-განათლების გამგისა: ერთი ის, რომ, რადგან ადგილობრივ მცხოვრებლებმა ითხოვეს თათრული ენის სწავლება ბათუმის საქალაქო სასწავლებელში, ამიტომ ამ ენას ასწავლიანო. ჩვენ არ ვამბობთ—მართალია თუ არა, რომ ბათუმის მცხოვრებლებმა ითხოვეს უეჭველად თათრულ ენის სწავლება. ჩვენთვის საინტერესო და საყურადღებო ის არის, რომ მთავრობისაგან და მთავრობის ხარჯით გახსნილს სასწავლებელს მიუღია მხედველობაში საზოგადოების თხოვნა და კიდეც შეუსრულებია ეს თხოვნა.

მეორე საყურადღებო საგანი ამ შენიშნვაში არის სხვა-და-სხვა ტომის შაგირდების რიცხვის ჩამოთვლა. შენიშნვაში სწერია: თათრები სასწავლებაში 18 იყოვო და ქართველები კი მხოლოდ—4-იო.

ნება მოგვეცეს, არ დავიჯეროთ ეს; არ დავიჯეროთ იმიტომ, რომ ნამდვილად ვიცით, რომ აქ ჩვეულებრივი შეცდომაა იმ რუსებისა, რომელთაც ჩვენი ისტორია არ იციან, რომელნიც კავკასიის ხალხებს არ იცნობენ: არა-ერთს მეცნიერულს რუსულს ისტორიის და ეტნოგრაფიის წიგნში, არა-ერთს გეოგრაფიულ რუკაში (კარტაში) (მაგ. ბ. ზეიდლიცის ეტნოგრაფიული კარტა) გვინახავს ჩვენ, რომ ქართველები, იმერლები, გურულები, მეგრელები, ხევსურები, რაჭველები და სხვ. სულ სხვა-და-სხვა ტომისა და მოდგმის ხალხად არიან ჩამოთვლილნი, და არა ერთ საზოგადო ქართველ ტომის შვილებად.

არიან ისეთებიც, რომელნიც ქართველ ფრანგებს ქართველებად არა სთვლიან, არც ქართველ სომხებსა.

ამგვარი შეცდომა მოსვლია ზემოხსენებულ შენიშნვის დამწერსაც. ვინ არ იცის, რომ მთელ ბათუმის მაზრაში, მაშასადამე არც თვითონ ქალაქს ბათუმში თუ არ მოსული, არც ერთი მკვიდრი თათარი მცხოვრებელი არ მოიპოება. ყველანი ქართველები არიან, ქართული ენა მათთვის სამშობლო ენაა და მხოლოდ სარწმუნოება, რჯული აქვთ მაჰმადი. ამიტომაც არის, რომ ამ ქვეყანას „ოსმალოს საქართველო“ ეწოდებოდა, სანამ რუსეთს არ შეუერთდა.

მაშასადამე, ის 18 შაგირდი, რომელნიც შენიშნვაში არიან მოხსენებულნი, თათრები კი არ არიან, არამედ ქართველები და რიგი და კანონი მოითხოვდა, რომ იმათთვისაც, დანარჩენ 4 ქართველთან ერთად, ქართული ენა ესწავლებინათ, როგორც სამშობლო ენა.

---

## დღიური

როგორც დღევანდელს ნომერში დაბეჭდილის ტელეგრამმიდამ შეიტყობს მკითხველი, ჩვენი მხრის სამოქალაქო გამგეობაში სახუმრო ცვლილებას არ უნდა მოველოდეთ. მოისპობა მთავარ სამმართველოს გამგეობა, კანცელარია და დეპარტამენტი, მთავარ-მმართებლის თანაშემწის თანამდებობა, კავკასიის სწავლა-განათლების გამგეობა პირ-და-პირ სახალხო განათლების სამინისტროს დაემორჩილება, ცენზურის კამიტეტი ბეჭდვის საქმეების მთავარ-გამგეობასაო და სხვ.

თუ ყველა ეს ნამდვილია, კავკასიის მთავარ-მმართებლისა და რუსეთის ღენერალ-ღუბერნატორის თანამდებობასა და უფლებათა შორის დიდი არაფერი განსხვავება არ იქნება.

სასიკეთო და მარგებელი იქნება ჩვენის მხრისათვის ამ გვარი ცვლილება—მაზე უფრო დაწვრილებით შემდეგში ვეცდებით მოვილაპარაკოთ.

* * *

ამბობენ, ჩვენს დრამმატიულ დასს სადიდ-მარხვოდ პეტერბურღში აპატიჟებენო რამდენიმე წარმოდგენის გასამართავად ქართულ ენაზე. (მოგეხსენებათ, რომ დიდ-მარხვაში რუსული წარმოდგენები ახალის კანონით აღკრძალულია რუსეთში). თუ ეს ამბავი მართალია, თუ მართლა სანდო და სალის პირისაგან მოუვიდა ჩვენს თეატრის დასს ამ გვარი წინადადება, კარგი მზადება, სიფრთხილე და წინ დახედულება ჰმართებს ამ დასს, რომ რიგინად წაიყვანოს საქმე და მთელის რუსეთის წინაშე არ შეგვარცხვინოს...

* * *

† გუშინ წინ, პარასკევს საღამოს, ქალაქში გავრცელდა ხმა, თ. დიმიტრი ვ. ორბელიანის გარდაცვალებისა. სამწუხაროდ ეს ხმა ნამდვილი გამოდგა. მიცვალებული კარგი ქართველი, გულით და სულით თანამგრძნობი და დამხმარე ყოველ კეთილ საქმისა და ამიტომ იმის სიკვდილი ყველა ნამდვილ ქართველისათვის საგრძნობელ და სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს...

* * *

ამ პარასკევის წარმოდგენა თ. დ. გ. ერისთავისაგან გადმოკეთებულის დრამმის „სამშობლოისა“ უკეთ წავიდა, ვიდრე პირველი. ზოგიერთი წვრილმანი ნაკლულევანება, რომელიც თუ პიესის დადგმაში და თუ თამაშობაში ეჩოთირებოდა მაყურებლის თვალს პირველ წარმოდგენის დროს, ამ მეორე წარმოდგენის დროს ველარ შევამჩნიეთ.

საზოგადოება ამ საღამოსაც თითქმის იმდენი დაესწრო, რამდენიც გასულ ოთხშაბათს და ისეთისვე აღტაცებით მიიღეს პიესა, მოთამაშენი, ავტორი, და რეჟისორი, როგორც პირველად. განსაკუთრებით ბევრი ღირსეული ტაში და თანაგრძნობის ნიშანი მიიღო სიმონ ლეონიძის როლის მოთამაშემ—ბ-ნ კ. ყიფიანმა და ლევან ხიმშიაშვილის წარმომადგენელმა ბ-ნ ალექსეევ-მესხიევმა.

ერთის სიტყვით ეტყობა, რომ ეს ჩინებული პიესა მაგრად მოიდგამს ფეხს ჩვენს რეპერტუარში და ჩვენს სცენაზე.

* * *

ფოთიდამ გაზეთს „შრომაში“ იწერებიან, რომ 14 იანვარს ზღვას დაუწყია საშინელი ღელვაო, მეორე დღეს უფრო გაძლიერდაო ასე, რომ

---

გადმოედინა, მოაგონდა თავისი მამა, რომელმაც ასეთს დროს თავი დაანება და თავის ძმას ნება მისცა ასე უწყალოდ გასრისოს ყმაწვილი ქალის გრძნობა და სიყვარული.

— მამა განგებ გაგზავნეს, რომ მე რაც უნდა ის მიყონ, ულმერთონი არიან, ულმერთონი!

— ნუ სტირი, ჩემო ყველავ! გეფიცები წმიდა გიორგის მადლს, რომ მე შენს თავს არცვის არ დავანებებ.

— ბარემდინ, მაგრამ შენც რაი უნდა ჰქნა, ბედშაო! აგერ ყველა იმას იძახის, შენი თავი შენ ხელთ არა გაქვს?..

— ყმა ვარ, რაიღა? სიმწარით წამოიძახა იაგომ და ჩაფიქრდა, შემდეგ დაუმატა უფრო წყნარად მაგრამ გადაწყვეტით:

— რაი უყოთ, რომ ყმა ვარ?... ღვთის მადლმა, თუ გაჭირდა, ყმობა მე ვერ დამაყენებს. ძალა იხმარეს ჩვენზედა, ძალად გამხადეს ყმადა, ძალათი წამართვეს ყოველი საცხოვრებელი და შენ თავსაც შემეცილნენ, მეც ძალას ვიხმარებ და მაშინ ის ვისი დედა ატირდების, იმასაცა ვნახავთ. ოღონდ შენ გიყვარდე, შენ ნუ ვამცვლი ცხოზედა და ქვეყანა დიდია, მტერს მოკეთედ გადავიქცევ და იქაც გაცხოვრებ.

— ავაიმე დალუპილსა! საით შემიძლიან შენი ღალატი? მე შენთვის მომიცია ჩემი გული და სიკვდილი-ღა გამყრის შენთანა.

— ჩემო ყველავ! წამოიძახა იაგომ მკლავებ მოხვევით და კოცნით.— ოღონდ შენ კი გიყვარდე და ღვთის მადლმა პირ-და-პირ ჩეჩენში გაგიყვან.

ამ დროს სოფლიდგან ხმაურობა მოისმა, მეშუშეები ამდგარიყვნენ და ლარსისკენ გამგზავრებას აპირებდნენ. ნუნუს და იაგოს მოაგონდათ, რომ იმათ გაყრის დრო იყო, თუ შეუმჩნეველი და გაუჭორებელი დარჩენა უნდოდათ.

— გათენებულა! წამოიძახა ნუნუმ.

— წადი, წადი, შინა, არ ვინა „ნახას“. ბევრი მოგვიცდია ბატარაიც მოვიცადოთ, მოვიფიქრათ მეც, მოკეთეები, ამხანაგები მყვანან, გავიგებ, რჩევას ვკითხავ და თუ აქ არა მოხერხდა-რა შამილთან გავიდეთ ჩეჩენში, შენ თუ არ გეშინიან ქისტებისა?

— შენთან რაისი უნდა მეშინოდეს?

— ჩემო ყველავ! პასუხად კიდევ ეს ხუეში საყვარელი სიტყვები გაიმეორა იაგომ და შემდეგ დაუმატა:—ხვალ გამოხვალ აქა?

— ჰო.

— გამოდი, გამოდი, ჩემო ყველავ, უშენოდ გული მიღონდების—უთხრა იმან, აკოცა, ერთხელ კიდევ მიიკრა გულზედ და მოშორდა, მარდად გადახტა ღობეზედ და ჩქარა მიეფარა კედლებს.

ნუნუმ წყნარა ამოიოხრა გახედა იმ მხარეს საითაც იაგო მიეფარა კედლებს და წარმოსთქვა:

— წმიდა გიორგი იყოს თავდები, ნუნუ ან შენი ცოლი იქნების ან წყალში დაიღრჩობს თავსა.

ამ სიტყვებს შემდეგ, ის გადავიდა ღობეზედ და წყნარა გაემართა თავის სახლისკენ, სადაც შეუმჩნეველი შევიდა და შეუმჩნეველივე ჩაწვა თავის საგებელში.

იაგო, გასცდა თუ არა რამდენიმე სახლს, ერთბაშად თავის მხარზედ იგრძნო ვიღასიც ხელი, რომელმაც შეაკრთო და შეაყენა.

— ბიჭავ! კარგა ხანს არ გძინავს! უთხრა უცნობმა.

იაგო გაკვირვებული უკან წადგა და გაკვირვებითვე წამოიძახა:

— დამბეგი!

დიახ, იმას თვალ წინ წამოუდგა დიანბეგი, რომელსაც თან ახლდა რამდენიმე შეიარაღებული ყაზახი. ეს ბატონი ახლად გადმოსულიყო რუსეთიდგან, ბედის საძებნელად ჩვენს საქართველოში და პირველადვე დაენიშნათ ხევში. . . . ამ გვარის მოწყალეებისთვის, რასაკვირველია ბ-ნმა დიანბეგმა საჭიროდ დაინახა რომ ამ განათლებულ ხალხში, უეჭველად ყოველი აზრი, თითონ

1872 წელს აქეთ, როცა ცეცხლისგმი „პერვენეცი" დაიღუპა, ამისთანა ღელვა არ ყოფილაო. ნავთ-საყუდელში აგორებული ზვირთები ოთხის ხუთის საჟენის სიმაღლეზედ ადიოდა კედლებს ზევით...

Ოთხ საათზე მოისმა ხმა და მოგლიჯა და გადუძახა ზღვაში ერთი მაშინა, რამდენსამე მინუტს შემდეგ გადუძახა მეორე მაშინაც. ამბობენ, თუ ნავთ-საყუდლის კედლები არ დაერღვია, ისე მაშინებს ვერ გადაჰყრიდაო. ზარალი ასი-ათასი მანეთამდინ იქნებაო და თუ კედლები დაშლილია, მაშინ მეტიც იქნება. ამ ღელვის დროს ნავთ-საყუდელშიაც ისეთივე, ძრიერი ღელვა იყო, როგორც თვითონ ზღვაში."

* * *

ხვალინდელ, ორშაბათის სხდომაზე ქალაქის რჩევას შემდეგ საგნებზე ექნება სჯა:

მოხსენება ქალაქის გამგეობასა შუადღეზე ზარბაზნის სროლის შესახებ.

მოხსენება გამგეობისა ქალაქის ნავთის წყაროებზედ;

მოხსენება საქალაქო სასწავლებელთა ქამიტეტისა Თფ. მეორე გიმნაზიის გადიდებაზედ;

ამავე ქამიტეტის მოხსენება სარქისოვის მეუღლისაგან გახსნილ საქალებო სასწავლებლისათვის და მუზიკალურ სკოლისათვის შემწეობის მიცემაზედ და სხვ.

* * *

ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშნვა ქართული თეატრის გამგეთაგან:

„რადგან ქართულ დრამატიულ დასსა სურს პატივისცემა გამოუცხადოს და ღირსეულად მოიხსენიოს ახლად-მიცვალებული თავ. დიმიტრი ვახტანგის-ძე ჯამბაკურიან-ორბელიანი, რომელმაც დიდი შემწეობა აღმოუჩინა ქართულს სცენას, ამისათვის დღევანდელი წარმოდგენა არწრუნის თეატრში, გადაიდება".

## „დროების" კორრესპონდენცია

—

ქუთაისი, 20 იანვარს. ეს ერთი კვირა არის სწორედ, რაც Თბილისსა და ჩვენს ქალაქს შორის მიმოსვლა შეწყვეტილია, ლიხის მთაზე გზის წახდენის გამო ჩვეულებისამებრ. არც ჟურნალ-გაზეთები, არც მგზავრები, არც ამბები, რასაკვირველია... ვართ ისე მიყრუებული და ვზივართ ჩვენ ჩვენს კერასთან და დილიდამ საღამომდის ბუხარს ვეცხუნებით საგრძნობელის ზამთრის წყალობით. საქმეა მაშ რა არის! ჩემდა თავად უნდა მოგახსენოთ, რომ წერილების გამოგზავნა თუ დამიგვიანდა, ზემოხსენებულის მიზეზით რედაქციისა და მკითხველთ წინაშეც ბოდიშ მოხდილი უნდა ვიყო...

Თექვსმეტს ამ თვისას, როგორც წინანდელ კორრესპონდენციაშიაც გწერდით, შესდგა რჩევის სხდომა, რომელზედაც ა) უნდა გადაეწყვიტათ დარჩეს ბუხგალტერის თანამდებობა, თუ არა? ბ) საბოლოვოდ დაემტკიცებინათ წლევანდელი წლის ხარჯთა-აღრიცხვა და გ) მოესმინათ სარევიზიო კომმისიის მოხსენება: სრულიად არის ქალაქის კასსაში ფული თუ არა? პირველს საგანს ამ სხდომაზედ ეს მესამედ არის რაც კენჭი უყარეს და ახლა კი, როგორც იქნა, საბოლოვოდ გადასწყდა: 19 ხმამ წინაალმდეგ 4-სა მოითხოვა ამ თანამდებობის დატოვება. სარევიზიო კომმისიამ გამოაცხადა, რომ ფული უკლებლად არისო კასსაში. ქეთილი და პატიოსანი. Წაიკითხეს და თვინიერ ხანგრძლივისა ან რითმე საყურადღებო ბაასისა დაამტკიცეს შემდეგი შემოსავალ-გასავლის სმეტა (ხარჯთა-აღრიცხვა) ქ. ქუთაისისა 1882 წლისა:

### შემოსავალი, ჩვეულებრივი:

ქალაქის საკუთრება უძრავი მამულებისაგან—5,013 მან., ქალაქის საიჯარო მამულებიდამ: ა) სასწორისაგან—4,170 მ.ნ. ბ) საყასბოსაგან—2,205 მან., ქუთაისის უძრავ მამულებზედ ქალაქის სასარგებლოდ დადებული გარდასახადი (დ ფასებითი)—17,054 მ., ამავე მამულებზედ დარჩენილი ესვე გარდასახადი ძველის წლებისა—7,574 მ., ვაჭრობისა და სხვა-და-სხვა მოხელეობის უფლების მოპოებისათვის ქალაქის სასარგებლოდ გარდასახადი 11,010 ნოტარიუსებისაგან—2,000 მ., აუქციონის წესით მოძრავი ქონების გასყიდვისათვის—50 მან. სულ—49,076 მან.

ხაზინისაგან ქალაქის შემწეობა: Ჯარებისათვის სადგომების ქირაში—7,780 მან., სატუსაღოსათვის—2,141 მ., ქუთაისის პოლიციისათვის—4,000 მ., 20% აქციზის გარდასახადის მაგიერი—4,000 მ. სულ—17,921 მან.

შემთხვევითი შემოსავალი: Ჯარიმის ფული ქალაქის სასარგებლოდ სხვა-და-სხვა გარდასახადის დროზედ შემოუტანლობისათვის—150 მან.

ქალაქს უნდა დაუბრუნდეს: სახლის ნომრების ფული—1,250 მ., სახაზინო უწყების მცხოვრებლებზედ ძველი წლების დარჩენილი გარდასახადი (პოდატის ფული): სულ არის 7,932 მ. 50 კ., აქედამ უნდა შემოვიდეს დაახლოვებით— (?!), ქალაქის მცხოვრებლებზედ ძველი წლების დარჩენილი გარდასახადი (შოსსეს ფული) იმათი მამულების წინ ქუჩების შეკეთებისთვის: სულ არის 2,528 მან. 25 კ., აქედამ უნდა შემოვიდეს დაახლოვებით—249 მ., მეფაიტონეთა და მეტაჩკეებთაგან ნომრების ფული—70 მ., ქუთაისის აღრინდელ დეპუტატზე, ს. ჩარექოვზე ვალად არის დარჩენილი ქალაქის ფული—385 მ., ქუთაისის ქალაქის გამგეობის მყოფ წევრზედ ბ. ხელთუფლიშვილზედ ვალად დარჩენილი ქალაქის ფული—სულ შემოვიდა. ხოპერის პოლკისათვის ქალაქისაგან ნაქირავებ სადგომში დახარჯული ფული, რომელიც ქალაქს ინჟინერის სამმართველოსაგან უნდა დაუბრუნდეს—110 მ., კანცელარიის ფული [illegible] რი მოწმობებისა და პირების გატანისათვის—500 მ. სულ—2,564 მან.

სულ შემოსავალი—69,711.

### გასავალი:

მუცილებელი ხარჯები: ქუთაისის ქალაქის სამმართველოსათვის—12,608 მან., ქალაქის ვალების გასასტუმრებლად—4,440 მ. 95¼ კაპ., ქალაქის შენობებისა და ქონების შესანახავად—9,444 მ. 77 კ., ქუთაისის ქალაქის პოლიციისათვის წლიური ხარჯი—18,207 მ., ცეცხლის საქრობი მაშინებისა, ცხენებისა და ამათი ზედამხედველისათვის ხარჯი—930 მ., ქალაქის ბაღებისათვის—594 მ., ქალაქის განათებისათვის—3,667 მ. 75 კ.,*) ილიუმინაციისათვის—150 მ., ქალაქში მყოფი ჯარებისათვის სადგომის ქირა—24,112 მ. 52 კ.,**) ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში ქალაქის სტიპენდიატკასათვის—200 მ., ქალაქის ხარჯზე მყოფთ ქუჩებისა, თხრილებისა და მეიდნებისათვის—500 მ., ქალაქის სატუსაღოსათვის—2,561 მ., მოულოდნელი ხარჯისათვის—533 მ. 50 კ. სულ—77,949 მ. 49¼ კ.

უვალდებული ხარჯები: ქუთაისის ქალაქის ერთ-კლასიანი სავაჟო სკოლისათვის—2,100 მ., ქუთაისის საქალებო უფასო სკოლისათვის ქალაქისაგან შეწევნა—1,200 მ., ქველ-მოქმედებითი ხარჯი: ა) ნახული ბავშვების გასაზრდელად—331 მ. 42 კაპ., ბ) მოხუცებულთა და დავრდომილთათვის შესაწევნად—50 მ., სასაფლაოებისათვის—1,500 მ. სულ წლიური ხარჯი უნდა იქნეს—5,181 მ. 42 კ.

---

*) 275 ფარნის ხარჯის ანგარიშზედ, 13 მან. 25 კაპ.

**) ამ ფულიდამ 1881 წლის გარდასახადი არის 9,848 მ. 82 კ.

---

პატივისცემა და სიყვარული მათრახით დაედგინა და ამისთვის ყოველ დანაშაულისთვის, თუნდა მცირედიცა ყოფილიყო ის, მათრახით ახდევინებდა. ამის გარედ რადგანაც თითონ ხალხს სრულებით არ იცნობდა და არ იცოდა იმათი ენა, იმას ნება უნებლიედ უნდა გაეჩინა ენის მომტანები, მთხრობლები დამბეზღებლები, ჯაშუშები და სხვა ამ გვარი პირები, რომელნიც წყნარ-წყნარად შეიქნენ იმის მაგიერ ამ ადგილების მართველნი, და დიანბეგი კი ბრმა ამსრულებელი ამ პირების სურვილისა. Იმასთან მხლებელნი, ვინც კი იყვნენ, შედგენილი იყო, ყველა ან მთის ოსებისგან, რომლებიც ძმას გროშზედ გაჰყიდიან და დედას მშობლად არ უყურებენ, ან კიდევ იმ მოხევეებისაგან, რომელთაც დაეკარგათ უწინდელი სვინდისი და პატიოსნება, გარყვნილიყვნენ ახალი წყობილობისაგან და დაევიწყნათ ხალხთან ის დამოკიდებულება, რომელიც უწინდელ დროში ისე წმინდად ინახებოდა და მაშასადამე შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რა რიგი სამართლიანი იქნებოდა იმათგან მოტანილი სიტყვები? რასაკვირველია ისინი ყოველ დროს და ყველგან ხელმძღვანელობდნენ მარტო თავისი პირადი სარგებლობით და ბ-ნ დიანბეგს-კი ასრულებინებდნენ თავიანთ პირადს სურვილს. როგორც დიანბეგი იყო დამოკიდებული ამ გარს შემოხვეული უსვინდისო ხალხისაგან, ისე თავის მხრით ნაჩალნიკი დიანბეგებისაგან და ამისთვის ულმერთოებას, და უსამართლობას სამზღვარი აღარა ჰქონდა.

Აი, ერთს იმ გვარ დიანბეგს შეხვდა Იაგო ამ უდროოდროს და შეხვდა სწორედ იმ დროს, როდესაც მხლებლებს მოეხსენებინათ დიანბეგისთვის გალაშქრება ერთი გლეხ-კაცის სახლზედ, სადაც ვითომც უნდა ნაქურდალი საქონელი ეპოვათ, მაგრამ რადგანაც ეს დაბეზღება ერთი იმ პირადი სურვილის მისაწევი იყო დამბეზღებლისაგან, როგორც ზევითიყო აღწერილი და მეორეს მხრით-კი ამავ დამბეზღებელის მეგობრებს დუქნის კარში უნდა გაექურდათ მეაქლემეები, ამისთვის დანბევის სოფელში გატყუებით, რომელიც უეჭველია ყაზახებს თან წაიყოლებდა, ქურდებს თავისუფალი დრო დარჩებოდათ და თავისუფლად გასცარცვავდნენ დაუფარველ მეაქლემეებს.

Დიანბეგმა, როგორც ყოველთვისინ ხდებოდა, ვერაფერი იპოვა გაჩხრეკილ გლეხკაცის სახლში და ამისთვის მოდიოდა ცუდ-გუნებაზედ, რომელსაც კიდევ დეემატა დუქნის კარში მეაქლემეების გაქურდვის ამბავი. Ის ჯავრობდა, ანჩხლობდა, და ვერ გაეგო, რაშია თავისი შეცდომილება და რად ვერ ახერხებს ქურდობის და ავაზაკობის თუ არ მოსპობას ამხანაგობას მაინც, ამისთვის ის ხმარობდა მათრახს და უსამართლობას; თუმცა ეს არც ქურდების, არც ავკაცების რიცხვს, არ ამცირებდა.

ამ გაბრაზებაში იყო ის, როდესაც შეხვდა Იაგოს და გაუხარდა რომ ჯავრის ამოყრა შეიძლო ვიზედმე.

— რას აკეთებდი აქა, ამ დროს? მკაცრადა ჰკითხა დიანბეგმა.

პირველში Იაგო ისე გააკვირვა ამ შემთხვევამ, რომ სიტყვა ველარ მოახერხა, მაგრამ როცა გონს მოვიდა დამშვიდებით უპასუხა:

— მოკეთეებისას ვიყავ და ეხლა შინ მივდივარ.

— მე ვიცი რა მოკეთეებთანაც იქნებოდი, უთხრა იმან დამუქრებით და მერმე მიუბრუნდა ყაზახებს:—Დაიჭირეთ, შეუკარით ხელები!

Ყაზახები, რომელთა შორის ნუნუს საქმროც იყო, მისცვივდნენ Იაგოს, რომელიც უკან გადახტა და გაიძრო ხანჯალი.

— ჩვენებურნო, თქვენ იქით მიდექით, დეე თითონ ეგ მოვიდეს! შესძახა და უჩვენა დიანბეგზედ.

ს. მოხსუბარიძე.

(გაგრძელება.)

წინა წლების შეუსრულებელი ხარჯები: 5,130 მ. 23 კ.

სულ გასავალი—88,261 მანეთი 14¼ კაპ.

როგორც მკითხველი ხედავს გასავალი აღემატება შემოსავალს სულ 18,550 მანეთითა და 14¼ კაპეიკით. რითი აპირებენ ამ დეფიციტის დაფარვას ან ხარჯთა-აღრიცხვის ზოგიერთს მხარეებზე შემდეგ მოვილაპარაკებთ... ჭ

## უცხოეთი

(გაზეთებიდან)

**ავსტრია.** თუმცა ავსტრიის ზოგიერთი გაზეთები სწერდნენ ადრე, რომ ჩვენი მმართებლობა კრივოშელებს და ჰერცოგოვინელებს ხელსაც არ გაანძრევინებს, ისე დაამშვიდებსო, თუ კი მართლა გაბედეს ამათ აჯანყებაო, მაგრამ ეხლა, როგორც გაზეთებიდამ ვიცით, ჰერცოგოვინაში დიდი აჯანყება არის და ავსტრიაც დიდს ფაცა-ფუცშია და ამათ დასამშვიდებლად აურაცხელ ჯარებს გზავნის.

ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში უკმაყოფილება ავსტრიის მმართებლობაზედ თითქმის იმ დღიდამ არ დამცხრალა, როდესაც ეს პროვინციები ავსტრიის ქვეშევრდომებად შეიქნენ. ეს უკმაყოფილობა უფრო გაძლიერდა მაშინ, როდესაც ავსტრიის მართებლობამ სამხედრო წესების შემოღება მოინდომა ამ მხარეებში, რისიც უფლება არ ჰქონდა მინიჭებული ბერლინის სახელმწიფოთა რჩევის გადაწყვეტილებით. უველა ამ ს მიუხედავად ავსტრიის მმართებლობა ავრცელებდა თავის საზოგადოებაში ხმას, რომ ზემოხსენებულს მხარეებში სრული მშვიდობიანობა არის და ემადლიერებიან ავსტრიასო.

სულ სხვა დარი დაუყენა ავსტრიას ამ ახალმა წელმა. თითქმის საერთო აჯანყება მოხდა ზემოხსენებულ მხარეებში და ავსტრიის მმართებლობა ჰხედავს, რომ ჰერცოგოვინელებს კარგად სცოდნიათ ბრძოლა და ხელის განძრევაზედ მეტიც დასჭირდება მას ამათ დასამშვიდებლად.

როგორც საზოგადოებაში ისე გაზეთებში გაიძახიან, რომ ავსტრიის მმართებლობას უსამართლო და მოუხერხებელი პოლიტიკა ეჭირა ბოსნიისა და ჰერცოგოვინის შესახებ, რამაც გამოიწვია ამ მხარეების აჯანყება.

მაგრამ ავსტრიის მმართებლობა, თავის ოფიციალურის გაზეთების საშუალებით, კიდევ იმართლებს თავს და ამ საქმეში პასუხის მგებლებად გამოჰყავს ინგლისის, ჩერნოგორიის და რუსეთის ინტრიგა.



## განცხადებანი

ი. მურადოვის

**წიგნის მაღაზიაში**

## ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა.

(50—46)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე იყიდება:** პარ-ესინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—61)

## ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლეული, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტაშტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, წუღები, ტუალეტის საპონი, ღუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში.

(100—68)

**ინგლისის მაღაზიაში**

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოდ, სხვაგან კი ქაღალდით. (100—80)

დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში

**ივავ-არაკნი**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გადმოქცეული თ. რ. ერისთვისა.

(3—3)

ინგლისის მაღაზიაში

**თმისამ- მაყვანი**



**მაკ-მას- ტერი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, ღუხები და სხვ

(100—80)

ზრიქურლოვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

**ლონდონის მაღაზია** კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, ღუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშნივინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და მატჭერის და გამზ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭვანის სიგარები. (100—66)

## ისყიდება

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფოდნოსი და გასალები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 პენალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლებიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. **ინგლისის მაღაზიაში.**

(40—25)



### ტაქსია

საჭმელ ხორაგეულებათა, რომელნიც ისყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 იანვრიდამ 1 თებერვლამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | — |
| მეორის | „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის | „ | —1 გირ. | 3 კ. |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | | 1 ვირ. | 7 კ. |
| მეორის | „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის | „ „ | —1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი | — — | —1 გირ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | — | 1 გირ. | 11 კ. |

ღორის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 10 კ. |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Января 1882 г. Типографія С. Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.